ნიაზ ბოლქვაძე
NIAZ BOLKVADZE

წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩაქვი – უძველესი მეჯალურგიის სათავეებთან

FOR THE PRESERVATION OF ANCESTRAL HERITAGE
G E O R G I A
CHAKVI – ORIGINS OF ANCIENT METALLURGY

თბილისი – TBILISI
2020

რედაქტორი
ავთანდილ დიასამიძე, პროფესორი, ისტორიკოსი, ექვთიმე
თაყაიშვილის სახელობის საქართველოს
საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი

რეცენზენტები:
იულონ გაგოშიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი.
ჯემალ მიქელაძე, ისტორიის აკადემიური დოქტორი,
მხატვარ-არქიტექტორი

Editor:
AVTANDIL DIASAMIDZE, Professor, Historian, Honorable Member of Ekvtime
Takaishvili Historical Society of Georgia

Reviewers:
IULON GAGOSHIDZE, Doctor of Historical Sciences, Archeologist
JEMAL MIKELADZE, Doctor of Historical Sciences, Artist-Architect

ISBN 978-9941-8-1650-5
© ნიაზ ბოლქვაძე, 2020

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორისაგან

ნაშრომი „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად. საქართველო, ჩაქვი უძველესი მეტალურგიის სათავეებთან“ მეტად საინტერესო, გლობალური მნიშვნელობის ქართული და ზოგადსაკაცობრიო ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის თემას ეძღვნება.

ავტორი განიხილავს რა, ყოვლის მომცველ გლობალურ სამყაროში ისტორიული ძეგლების სავალალო მდგომარეობას, კერძოდ, დავით გარეჯის მაგალითზე, სრულებით ახლებური მიდგომით ნათლად წარმოაჩენს იმ გამოწვევებსა და საფრთხეებს, რომლის წინაშეც ქართველი ერი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, უძველეს წინაპართა მემკვიდრეობის გადარჩენას ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ეკისრება, რაც ლოგიკური მსჯელობებით და საფუძვლიანი დასკვნებით სრულებით დამაჯერებლადაა წარმოდგენილი.

წიგნში საინტერესოდაა აღწერილი 3100 წლის წინ უძველეს კოლხ წინაპართა მიერ დედამიწაზე ერთ-ერთი პირველი რკინის წარმოება, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩაქვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხეობის დაბურულ ტყეში საიდუმლო წესით ხორციელდებოდა...

ავტორი უფრო შორს მიდის და ფილოსოფიური მიდგომით, როგორც სიტყვით, ასევე კონკრეტული საქმით, ჩაქვის უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოს (ძვ.წ. აღრიცხვის XI-X საუკუნე) გადარჩენით და იქ ღია ცის ქვეშ მუზეუმის დაგეგმვით (ასევე მდინარეების ჭოროხის და ჩოლოქის აუზებში არსებული უძველესი მეტალურგიის ცენტრების ძვ.წ. XIII-X საუკუნეების ძეგლების მოძიებით და მათი გადარჩენისათვის ზრუნვით) ეროვნული და ზოგდასაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და დაცვის საუკეთესო მაგალითს იძლევა.

ეს არის ექვთიმე თაყაიშვილის გზის ღირსეულად გაგრძელება, როდესაც პიროვნება, საკუთარი ენთუზიაზმით შეაფასებს ძეგლის ღირებულებას, როგორც დიდი მნიშვნელობის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლისა, შემოიკრებს სპეციალისტებს, კარგ მამულიშვილებს და წლების მანძილზე სრულიად უანგაროდ ზრუნავს მის გადასარჩენად, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მის წარმოსაჩენად. ეს არის დიდი ილიას გზა, რომელიც ქართველი ერის ისტორიის საფუძვლიან შესწავლაში ერის თვითშეგნების ამაღლებას ხედავდა, რაც მთავარი საფუძველია ეროვნული უსაფრთხოებისა და ღირსეული მომავლისა, რომელსაც ავტორი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს.

ბატონმა ნიაზ ბოლქვაძემ, გასულ წელს მკითხველს შესთავაზა გლობალური მნიშვნელობის ფილოსოფიური ხასიათის წიგნი „აზროვნების ეკოლოგია-კაცობრიობის ხსნის

მთავარი საშუალება“ (წიგნი 2019 წელს წარდგენილი იქნა ნობელის პრემიაზე). ვფიქრობ, რომ ნაშრომი „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად. საქართველო, ჩაქვი უძველესი მეტალურგიის სათავეებთან“ მისი გაგრძელებაა, ფილოსოფიური მიდგომაა ამ მიმართულებით, რასაც ავტორმა ამ შემთხვევაშიც წარმატებით გაართვა თავი.

ისტორიულმა მეცნიერებამ, არქეოლოგიამ თავისი განვითარების საკმაოდ რთული და საინტერესო გზა განვლო, რომელშიც დიდი ღვაწლი არქეოლოგებთან ერთად ახალი იდეებით შეპყრობილ სხვადასხვა სპეციალობის მოაზროვნე ადამიანებსაც მიუძღვით. მაგ. როგორიც იყო ჰაინრიხ შლიმანი და სხვები... მათ არქეოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფოსმა ნიაზ ბოლქვაძემ ქართულ არქეოლოგიას, კერძოდ, რკინის მეტალურგიის კერების ისტორიის უკეთ შესწავლისა და სხვა და სხვა მიმართულებით მისი განვითარების მხრივ, თავისი მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია...

ნაშრომი საინტერესო იქნება ამ დარგის მეცნიერ სპეციალისტებისათვის, ლექტორ- მასწავლებლებისათვის, ექსკურსია-მძღოლებისათვის, ასევე მკითხველთა ფართო წრისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

„ეს არის დიდი საქმის დასაწყისი. ეს სწორედ იმის მოწმობაა, თუ რაოდენი მნიშვნელობის საკითხები დაისმის და გადაიჭრება ამ დიდი არქეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაშლა-გაღრმავების საფუძველზე. მისი შემდგომი წარმატება ყოვლად საიმედოდ ჩანს“...

ნიკო ბერძენიშვილი

(ამონარიდი აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის გამოხმაურებიდან უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოების აღმოჩენასთან დაკავშირებით. 1964 წ)

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება მრავალი გამოწვევების წინაშე დგას. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დიდ ყურადღებას საჭიროებს, არის უძველეს წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობა. განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებში, სადაც კულტურული ტრადიციების, საამაყო ადათ-წესების სხვა უმსგავსო ტრადიციებით ჩანაცვლებასთან ერთად ხდება მატერიალური კულტურის ძეგლების განადგურება, მითვისება ან ხელყოფა...

ხშირ შემთხვევაში გავლენიან პოლიტიკოსთა ამბიციების გამო, რომელნიც მიზნად ისახავენ მათი გავლენის სფეროების გაფართოებას, ამას თან სდევს ერის კულტურული ძეგლების განადგურება, რითაც რასაკვირველია ნადგურდება ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრობაც, რომლის შექმნაშიც ათასწლეულების მანილზე სხვადასხვა ერების თაობებს თავისი გარკვეული წილი მიუძღვით.

ამის სამწუხარო მაგალითები ბოლო ათწლეულების მანძილზე მრავალია, მათ შორის ერაყსა და სირიაში უძველესი კულტურის ძეგლების სავალალო მდგომარეობა, თურქეთის ტერიტორიაზე თითქმის განადგურებულია ქართული კულტურის ძეგლები: ოშკი, ბანა, ოპიზა და სხვა. დღეს იგივე საშიშროების წინაშეა მდგომი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელნიც ქართულ და ზოგადსაკაცობრიო ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშებია. ამ ძეგლებს, ქართველთათვის ეროვნული და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით უდიდესი მისია აკისრიათ.

ამ მხრივ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით იმედის მომცემია „იუნესკოს“ საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობა. დაგვეთანხმებით იმაში, რომ მხოლოდ „იუნესკოს“ საქმიანობა დიდ შედეგებს ვერ გამოიღებს, თუ არ იქნება ცალკეული ერის წარმომადგენელთა, ფართო საზოგადოების აქტიური ჩართულობა და თანადგომა, ჩვენი მხრიდან მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა ამ დიდად საღვთო, საერო და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საქმეში, რომელსაც წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა ჰქვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ქართველი ერის ინტერესებს ლოგიკური და საფუძვლიანი იქნება დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მაგალითზე თუ ვიტყვით:

საოცარი და დასანანია, რომ აზერბაიჯანის მხარე, რომლებთანაც ბევრი კარგი გვაკავშირებს, აცხადებენ პრეტენზიას დავით გარეჯზე, ქართულ წმინდა სალოცავებზე, რომ იგი მათი წინაპართა ისტორიული ძეგლი ყოფილა, რაც ვერავითარ ლოგიკას ვერ უძლებს. ასეთ დროს როგორ იქნება იმ ძეგლთა მდგომარეობა მომავალში, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე ძვ.წ. უძველეს წინაპართა მიერ არის შექმნილი? ბევრი შესწავლილია, ბევრიც შესასწავლი.

სწორედ ეს ძეგლები, უძველეს წინაპართა მემკვიდრეობა, ისტორიული მეხსიერება არის მთავარი საფუძველი იმისა, რომ მტერმაც და მოყვარემაც დაინახოს: ეს არის უძველეს ქართველთა სამშობლო, უხსოვარი დროიდან ქართული სახელმწიფოს ფუძემდებელნი, რომლებმაც შემდეგ შეიხიზნეს აქ, სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენელნი და მეგობრობის ნიშნად მისცეს მათ თავისუფლად არსებობის და განვითარების საშუალება, სიკეთე, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად ცუდ ბუმერანგად გვიბრუნდება შთამომავლობას, ქართველ ხალხს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ საფუძვლიანი დასკვნა:

თუ ჩვენ დღეს არ გადავარჩენთ უძველეს წინაპართა კულტურულ მემკვიდრობას, მაშინ ჩვენი მომავალი თაობები, ყოვლის მომცველ გლობალიზაციის პროცესებში ჩართულნი, ვეღარ დაამტკიცებენ იმას, რომ საქართველო ეს არის უძველს ქართველთა სამშობლო...

ამ დროს მხოლოდ სიტყვიერი პროტესტი იმათ საპირისპიროდ, ვინც ჩვენს სიწმინდეებს გვედავება, ჩვენს საზღვრებში იჭრება, წინაპართა მემკვიდრეობას გვედავება, არ არის საკმარისი. ვფიქრობთ საჭიროა არსებითი ღონისძიებები, რაც ჩვენი მომავალი თაობებისათვის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მტკიცე გარანტი იქნება.

„რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“ – გვარიგებს ბრძენი რუსთაველი.

აქედან გამომდინარე ჩვენ გადავწყვიტეთ ფონდის „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ დაარსება, რომელიც საქართველოს კულტურისა და განათლების სამინისტროსთან, „იუნესკოსთან“, ამ დარგის მეცნიერებთან, ფართო საზოგადოებასთან თანამშრომლობით იზრუნებს უძველესი კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენაზე, მათ შენარჩუნებასა და წარმოჩენაზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენით, რომელიც ზოგადსაკაცობრიო კულტურული მონაპოვარის განუყოფელი ნაწილია, შევძლებთ ყოვლისმომცველ გლობალიზაციის პირობებში, შევინარჩუნოთ ქართული, ეროვნული ფასეულობები და ღირსეულად წარვსდგეთ საერთაშორისო საზოგადოებისა და თანამედროვე გამოწვევების წინაშე.

ფონდის მზრუნველობის ერთ-ერთი პირველი ობიექტი იქნება ჩაქვის ჩაისუბნის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოს გადარჩენა, რომელიც თარიღდება ძვ.წ. XI-X სს. აქ ღია ცის ქვეშ გაშენდება მუზეუმი, აღდგენილი მისი პირველადი სახით: მუხით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წაბლითა და წყავით დაბურულ ველურ ტყეში საიდუმლოდ რკინის წარმოების პროცესი.

ჩაქვის უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნო ერთადერთია დღეს მსოფლიოში შემორჩენილი ყველაზე უძველესი (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსით) ერთ-ერთი იმ პირველი რკინის საწარმოთაგანი, საიდანაც საერთოდ რკინის წარმოება ღებულობს სათავეს, ეს დამადასტურებელია იმისა, რომ უძველესი კოლხები რკინის ერთ-ერთი პირველი აღმომჩენნი და მწარმოებელნი იყვნენ.

ჩვენ ყოველთვის დიდი სითბოთი და მადლიერების გრნობით მოვიხსენიებთ ებრაელ ერს, რომელმაც მოგვცა ბიბლია, რწმენა ღმერთისადმი, ასევე ბერძენ ხალხს, როგორც მსოფლიოს განმანათლებლებს, რომლებმაც მოგვცა ფილოსოფია... ქართველმა ერმა კი კაცობრიობას მისცა რკინა, ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი და ამიტომ სათანადო პატივისცემას იმსახურებს.

ქართველი ერის წინაპართა ეს უდიდესი მიღწევა ვფიქრობთ „იუნესკოს“ მიერ სათანადოდ იქნება შეფასებული და შეტანილი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლთა სიაში.

ჩემს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ტურისტული მარშრუტები ძირითადად წარმოდგენილია მხოლოდ ქრისტეშობის ეპოქიდან, ახ. წ. ციხეებით, ტაძრებით, ხიდებით, ბუნებით, ქართული სამზარეულოთი.

საქართველო, რომელიც მსოფლიოს უძველეს სახელმწიფოთა რიგებში შედის, ქრისტეშობამდე პერიოდის ქართული კულტურის ისტორიული ძეგლებით წარმოდგენილი არ არის;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსავლენი და წარმოსაჩენია ის ისტორიული ძეგლები, რამაც კაცობრიობას უძველესი დროიდან ცივილიზაციის განვითარებაში უდიდესი სამსახური გაუწია. ასეთი პირობებით დიდად ზარალდება საქართველოს ინტერესები: ტურიზმის სფეროს განვითარება, რომელიც ერთ-ერთი მთავარია ქვეყანაში დასახული პრიორიტეტებიდან, ასევე კნინდება ქართველი ერის როლი კაცობრიობის კულტურის განვითარებაში.

მართალია, ამ მხრივ, საქართველო არის წარმოდგენილი ვაზის, ღვინის კულტურით, ქვევრის სამშობლოდ, რაც ნამდვილად საამაყოა ჩვენთვის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ვინაიდან, ღვინის მოხმარების აუცილებლობა, ყველა ერებისათვის სხვადასხვა მიზეზთა გამო, რელიგიური თვალსაზრისით, საკუთარი სპირტიანი სასმელების ტრადიციულობიდან გამომდინარე და ა. შ. არ არის მიღებული, ამდენად იგი სრულად ვერ ასახავს ქართველი ერის როლსა და დამსახურებას კაცობრიობის წინაშე.

ღვინის კულტურასთან ერთად, აუცილებელია უძველეს წინაპართა მემკვიდრეობის სხვა მაგალითების წარმოჩენა; მაგ. საქართველო, როგორც დედამიწაზე რკინის წარმოების სამშობლო, რომელმაც ბრინჯაოს ხანის შემდეგ რკინის აღმოჩენითა და წარმოებით კაცობრიობას, უდიდესი სამსახური გაუწია; ამის დამადასტურებელი ისტორიული ძეგლების წარმოჩენით, იგი ყველასათვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩაქვში უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორიაზე, მუზე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმის დაარსება, მეტად საინტერესო სახეს მიიღებს და იქნება თვალსაჩინო მაგალითი, როგორც დედამიწაზე რკინის წარმოების ერთ-ერთი პირველი კერის, უძველეს ქართველთა სამშობლოსი; იგი დიდად აამაღლებს საქართველოს იმიჯს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, მომავალი თაობების მამულიშვილური სულით აღზრდას, ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაქვის ისტორიული წარსულიდან

ჩაქვის ჩაისუბნის უძველეს კოლხთა რკინის სადნობ სახელოსნოზე ვიდრე მოგახსენებთ, ვფიქრობთ საინტერესო იქნება გავაკეთოთ მოკლე ისტორიული მიმოხილვა მთლიანად ჩაქვის ხეობის ისტორიულ წარსულთან დაკავშირებით.

ჩაქვის ხეობა უძველესი დროიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი ყოფილა თავისი კულტურული, ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით.

პირველყოფილ მობინადრე ადამიანთა კვალი აქ ჯერ კიდევ ადრეული ქვის ხანიდან შეიმჩნევა.

ამას მოწმობს ჩაქვის წყლის ხეობაში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები.

სოფელ ჩაისუბანში, სოფელ სახალვაშოში აღმოჩენილი ნამოსახლარები განისაზღვრება ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულებით...

უძველესი დროიდან განვითარების ადრეულ საფეხურზე ყოველ ბუნებრივ და საზოგადოებრივ მოვლენას, როგორც ცნობილია თავისი ღვთაება და კულტი განასახიერებდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე უძველეს წინაპართა ცხოვრებაში არსებობდა მზის, მთვარის, ავდრისა და

ელჭექის, წყლის, ცეცხლის, მიწის მოსავლიანობის, ადამიანის გამრავლების, შინაურ ცხოველთა გამრავლების, ნადირობისა და სხვა ღვთაებანი და კულტები, რაც ასევე უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ჩაქვის ხეობის მობინადრეთათვისაც.

არსებობდა ასევე მევენახეობა-მეღვინეობის ღვთაება[1], მოხვნითი მიწათმოქმედების განვითარების შემდეგ კი ჩნდება ხარი-მხვნელის კულტი.

გვიან ქვის ხანაში უკვე იწყება ჩაქვის წყლის მობინადრეთა შემგროვებლური მეურნეობიდან, მწარმოებლურზე გადასვლა. განვითარებას იწყებს მიწათმოქმედება, ხელოსნობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, რამაც თავის მხრივ განაპირობა ბინადარი ცხოვრება. ჩაქვის წყლის მკვიდრნი, როგორც ჩანს, მიწათმოქმედების განვითარების დროიდან, ქრისტიანობამდე თაყვანს სცემდნენ ხარის კულტს.[2]

ჩაქვის ხეობაში აღმოჩენილი ქვის ხანის ნაკეთობები, ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ძეგლები, კერამიკის წარმოების ნიმუშები, ანტიკურ ხანაში საიუველირო ხელოსნობის წარმოების ნიმუშები, შუა საუკუნეებში საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებასთან ერთად ფართოდ გაშლილი ეკლესია-საყდრების მშენებლობის ფაქტები, მოწმობენ იმას, რომ უძველესი დროიდან დღემდე ჩაქვის ხეობის მკვიდრმა მოსახლეობამ საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელი ყველა საფეხური უწყვეტად განვლო. უფრო მეტიც,

---

[1] Кекелия М. о природе национальных обычаев и традиций. Тб., 1982 г., ст., 54; Ламберти А. Описание Самегрело. Тб., 1938 г., ст., 75.

[2] ნ. სურმანიძე. „ჩაქვის წყლის ხეობა“, ბათ., 2009, გვ. 16.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვა და სხვა დროს, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სფეროში, ჩაქვის ხეობა კოლხეთს ერთ-ერთ დაწინაურებულ კულტურის ცენტრად ევლინებოდა. განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ საიუველირო და კერამიკის წარმოება, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს „სამამაცო“ ჩასაცმელი „ჩაქურა“-ს, ანუ ჩაქვურის წარმოების სამშობლო – პირველი კერა, რკინის მეტალურგია რაზედაც მოგვიანებით გვექნება ძირითადად საუბარი. ჩაქვი თავის დროზე ასევე ცნობილი ყოფილა საუკეთესო ღვინითაც. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ერთი საინტერესო ისტორია.

როგორც ისტორია მოგვითხრობს, გურიის მთავარ გურიელს მეღვინეთუხუცესი ჰყოლია, გვარად ანთაძე. კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის სახეობათა გამოცნობაში, რითაც გურიის მთავარს დიდად მოსწონდა თავი.

ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებს უთქვამთ: მოდით გამოვცადოთ, თუ მართლა ღვინის გამოცნობის ასეთი ოსტატი არისო. აურევიათ ერთ დოქში, ერთმანეთში სამი სახის ღვინო:

2/5 ფერსათული (სოფელია), 2/5 ოსეთური (სოფელია) და 1/5 ჩაქვური. მოუხმიათ მეღვინეთუხუცესისათვის და უთქვამთ – „აბა გამოიცანიო“. ანთაძეს გემო გაუსინჯავს ღვინისათვის თუ არა, ცოტა ჩაფიქრების შემდეგ პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის:

ფერად – ფერსათულია,
გემოდ – ოსეთურიო,
ცოტას – მოიჩაქურებსო.[1]

[1] თ. სახოკია. მოგზაურობანი, ბათ. 1985, გვ. 116.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ისტორია კარგად მოწმობს, რომ ჩაქვი, სხვა სიკეთეესთან ერთად, ასევე გამოირჩეოდა დიდებულთა მოსაწონი ღვინით.

ჩაქვის ხეობაში ნაპოვნი ანტიკური ხანის მასალები, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ნაწარმი ადასტურებს, რომ ჩაქვი საერთაშორისო სავაჭრო სატრანზიტო მაგისტრალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

ჩაქვის ხეობასთან ახლოს ისეთი განვითარებული საქალაქო ცენტრის არსებობა როგორიც ქობულეთ-ფიჭვნარი იყო, ბუნებრივია ხელს უწყობდა ჩაქვის ჩართულობას საგარეო და საშინაო სავაჭრო ურთიერთობებში.

სამწუხაროდ, ჩაქვის შესახებ ძალიან მცირე მასალა მოიპოვება ისტორიული წერილობითი წყაროების სახით. მეცნიერთა წრეში არსებობს აზრი, რომლის მიხედვითაც დაახ. VII საუკუნეში ჩაქვის წყლის შესართავთან ყოფილა ნავსაყუდელი.

XVIII-XIX სს-ში აქ მყოფი მოგზაურები იმჟამინდელ ჩაქვის ცენტრს „ბაზრის“ სახელით მოიხსენიებენ. სრულებით შესაძლებელია, აქ ბაზრის არსებობა ადრეული საუკუნეებიდან ღებულობდეს სათავეს, ვიდრე VII საუკუნემდე. ნავსაყუდელისა და სავაჭრო ცენტრის ბაზრის არსებობა ურთიერთკავშირში უნდა ყოფილიყო, როგორც სავაჭრო ურთიერთობის მხრივ, ასევე სამხედრო სტრატეგიული დანიშნულებით. ამ აზრს უნდა მოწმობდეს თუნდაც ათასეული წლით ადრე აქ რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი ცენტრის არსებობა.

ჩაქვის ნავსაყუდელიდან მაშინდელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, გემებით, სხვადასხვა ნაწარმთან ერთად გადიოდა ჩაქვში წარმოებული უმაღლესი ხარისხის რკინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს ხელთ არსებული ისტორიული წერილობითი წყაროების მიხედვით, სადაც ჩაქვი პირველად მოიხსენიება, თარიღდება XV საუკუნით, რომელიც მოგვითხრობს ჩაქვის მკვიდრთა გმირული ბრძოლების შესახებ ოსმალო დამპყრობელთა წინააღმდეგ.[1]

ჩაქვის წყლის ხეობა უძველესი დროიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სავაჭრო-სატრანზიტო გზის შემადგენელი ნაწილი იყო. მისი მნიშვნელობა თანდათან უფრო ვითარდებოდა და არ კარგავდა თავის ამ ფუნქციას.

მთავარი საგზაო მაგისტრალი შავი ზღვის სანაპიროზე გადიოდა. არსებობდა ასევე მეორე, გზა-ბილიკი, რომელიც სოფ. ჩაქვისთავს მდინარეების – კინტრიშის და აჭარისწყლის – ხეობასთან აკავშირებდა.

მახინჯაურის სამთო ბილიკებით ჩაქვის წყლის ხეობა უკავშირდებოდა ყოროლისწყლის ხეობას. აღნიშნულ გზებს ჰქონდა როგორც სავაჭრო-სატრანზიტო, ასევე თავდაცვითი ფუნქცია.

ჩაქვის ხეობა უძველესი დროიდან საქართველოს შავიზღვისპირეთის თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენდა. აქ არსებული სათვალთვალო-სასიგნალო პუნქტებიდან შესაძლებელი ხდებოდა კოლხეთის სამეფოს ვრცელი ტერიტორიის გაკონტროლება. აქაური მოსახლეობა მათთვის დადგენილი სასიგნალო ნიშნებით (კოცონის დანთებით) დანარჩენ მეზობელ ხეობებს ამცნობდა მოახლოებული მტრის შემოსევის შესახებ. შუა

[1] ც. არდაშელია, და მოლანდება ასი ათასი, ბათ., 1981, გვ. 25.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუკუნეებში ხეობის დაცვას ძირითადად უზრუნველყოფდა ჩაქვისთავის ციხესიმაგრე.

ლეგენდის მიხედვით, რომელიც ჩაქვში მოსახლეობასთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ჩავიწერე, აქ ყოფილა მეორე ციხეც, ზღვის სანაპიროზე, მთავარ საგზაო მაგისტრალთან. კერძოდ, მწვანე კონცხზე, დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, ჩრდილო აღმოსავლეთით, ჩაქვის მხარეს.

უძველეს დროში აქ, ზღვისპირა მხრიდან ხეობის დასაცავად აგებული ყოფილა ციხესიმაგრე. ციხიდან საურმე გზა გადიოდა ჩაქვის დასახლებული პუნქტებისაკენ. მტრის ერთ-ერთი შემოსევის დროს, ადგილობრივი მოსახლეობა გმირულად იცავდა ციხეს და არ ნებდებოდა მტერს. მტერმა ციხე ხანგრძლივი დროის მანძილზე ალყაში მოაქცია. ბოლოს მტერმა პირდაპირი შეტევით რომ ვერაფერს გახდა, ერთ-ერთ უძველეს ხერხს მიმართა: „ციხე-შიგნიდან ტყდებაო“.

გამოჩნდა ერთი მოღალატე გამცემი, რომლის მეშვეობითაც მტერმა ციხეში შეაღწია. მეციხოვნენი უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ.

ჩაქვის მკვიდრ ქალებს, დაღუპულ გმირთა ცოლებს, დედებს, დებს, დაუჭერიათ მოღალატე და იქვე ციხესთან ახლოს, სადაც გმირები განისვენებდნენ ქვებით ისე ჩაუქოლავთ, რომ მოღალატე ქვებს მთლიანად დაუფარავს, და ასე დაუტოვებიათ ჩაქვავებული. დროთა განმავლობაში ამ თქმულების მიხედვით „ჩაქვავებულისაგან“ ჩაქვის ხეობას შემოკლებით ეწოდა ჩაქვა – ჩაქვი. ასეთი არის ჩაქვის სახელწოდების წარმომავლობის ერთ-ერთი ხალხური ვერსია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაქვის ეტიმოლოგიის მეორე, უფრო საფუძვლიანი ვერსია ჩემს მიერ წარმოებული გამოკვლევების მიხედვით, მეცნიერული თვალსაზრისით ძირითადად მის გეოგრაფიულ მდებარეობას უკავშირდება და მისი რელიეფური მდგომარეობიდან გამომდინარეობს, როგორც წრიულად, მთებს შორის ჩაღრმავებული, ჩაქვაბებული ადგილი. აქედან წარმოსდგება – ხეობა რომელსაც მთებს შორის ქვაბისებური ფორმა აქვს: ჩაქვა-ბებული, ჩაქვა – ჩაქვი.[1]

[1] ნიაზ ბოლქვაძე, ჩაქვი ჩაქურას მშობელი, ბათ., 2011, გვ. 22-28.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაქვი – კოლხური მეტალურგიის სათავეებთან

კოლხეთის სამეფო გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში ცნობილი იყო არამარტო მატერიალური სიმდიდრით, არამედ სულიერი კულტურითაც, რაც განაპირობებდა იმას, რომ ვაჭართა და პოლიტიკოსთა გარდა კოლხეთით დაინტერესებული ყოფილა იმ დროის მოწინავე პიროვნებები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, მწერლები.

უპირველესი ადრეული ცნობები, რომელიც მოგვითხრობს ქართველურ ტომთა შესახებ, როგორც ცნობილია, არის არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში.

ძვ.წ. I საუკუნეში რომაელი პოეტი ნაზონი, თავის შემოქმედებაში აღწერს ათასწლეულით ადრეულ პერიოდს და მოგვითხრობს უძველეს კოლხთა მაღალ კულტურაზე. განსაკუთრებით ყურადღებაა გამახვილებული სტუმარმასპინძლობის ტრადიციაზე, რომელიც როგორც ჩანს, მაშინდელ საქართველოში განვითარების უმაღლეს საფეხურზე იდგა.

„მეფე აიეტს უცხო „სტუმრები“ (არგონავტები) ღირსეულად მიუღია, ჯერ უხვად გამასპინძლებია და მხოლოდ ამის შემდეგ უკითხავს ასე შორეული მოგზაურობის მიზეზი“... გადმოგვცემს რომაელი პოეტი.[1]

[1] Гагуа И. Овидий Назон и древняя Колхида, Тб., 1984, стр. 88.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოდგენილი ფორმით სტუმართმასპინძლობა შეუძლებელია მტკიცე ზნეობრივი ნორმების, მაღალი ღირსების გრძნობის გარეშე. სტუმართმასპინძლობა ეს ის უნივერსალური სოციო-კულტურული მოვლენაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს სხვა მრავალ ტრადიციებსა და ადათ-წესებს, რომელთა დაცვაც ყოველთვის მკაცრად იყო განსაზღვრული.

ასეთი მაღალი სულიერი კულტურა, ბუნებრივია შეუძლებელი იქნებოდა განვითარებული მატერიალური სიმდიდრისა და ძლიერი ეკონომიკის გარეშე, რომლის სიმბოლოსაც ლეგენდის მიხედვით „ოქროს საწმისი“ წარმოადგენდა.

ძველი ანტიკური და ბიზანტიური წერილობითი წყაროების თანახმად „ოქროს საწმისი“ ისტორიული მოვლენის პოეტურად გადმოცემის ფორმაა, სინამდვილეში, როგორც ცნობილია, იგი ტყავზე დაწერილი ტაბუდადებული საიდუმლო ცნობაა კოლხური მეთოდით ოქროს მიღების შესახებ.

უძველეს კოლხთა ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, რკინის მეტალურგია იყო.

მეტალურგია (ბერძნ. metallurgeo – მოვიპოვებ მადანს, ვამუშავებ ლითონს) კაცობრიობის განვითარების უძველესი დროიდან ღებულობს სათავეს.[1]

არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ ადამიანი უკვე ძვ. წ. VII-VI ათასწლეულებიდან ადნობდა სპილენძს, იცნობდა თვითნაბად ოქროს, ვერცხლს, მეტეორიტულ ზეციურ რკინას. რკინის ყველაზე უძველესი ნაკეთობა, რომელიც აღმოჩენილი იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად, და-

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. VI. 1986 წ., გვ. 606.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარიღებულია ძვ.წ. აღრიცხვით IV ათასწლეულით და მიეკუთვნება შუმერებისა და ეგვიპტის ცივილიზაციას. ისინი დამზადებულია ზეციური წარმოშობის მეტეორიტული რკინისაგან: სამკაულები ეგვიპტური სამარხებიდან (მიახ. 3800 ძვ.წ.) და ხანჯალი შუმერული ქალაქ ურიდან (მიახ. 3100 წ. ძვ.წ). მეტალურგია, მადნიდან ლითონის მიღება და მისგან ნაკეთობების დამზადება ქართველებისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი საქმიანობა ყოფილა.

როგორც ცნობილია, ენეოლითის ხანის შემდეგ იწყება ბრინჯაოს ხანა-საზოგადოების განვითარების ისტორიულ-კულტურული პერიოდი. უძველესმა ადამიანმა საბრძოლო და სამეურნეო იარაღების დასამზადებლად დაიწყო ბრინჯაოს გამოყენება. ბრინჯაოს ყველაზე უძველესი ნაწარმი (ძვ.წ. IV ათასწლეული) აღმოჩენილია ირანში, დღევანდელი თურქეთისა და შუამდინარეთის ტერიტორიებზე.

ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში ბრინჯაო ფართო გავრცელებას პოულობს სხვა და სხვა ქვეყნებში.

ხელოსნობის, მიწათმოქმედების, ვაჭრობის განვითარებამ, საბრძოლო და სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებამ, თავის მხრივ ხელი შეუწყო პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესს და კლასობრივ საზოგადოებად ჩამოყალიბებას.

ევრაზიის უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ცენტრი ბრინჯაოს ხანაში ძვ.წ. III ათასწლეულიდან ხდება კავკასია. უახლოესი მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ ბრინჯაოს ხანაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ როგორც სამთამადნო, ასევე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მეტალურგიულ, ლითონდამამუშავებელ ინდუსტრიაში[1]...

გვიან ბრინჯაოს ხანაში, კავკასიაში, კერძოდ კოლხეთში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში მოხდა დიდი სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები. მეტალურგიის განვითარების უდიდესი მიღწევა იყო კოლხი მეტალურგების მიერ რკინის აღმოჩენა და ათვისება, რამაც რევოლუციური გარდატეხა მოახდინა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

რკინის ნივთებს ჯერ კიდევ „ანითას ტექსტში“ – ყველაზე ძველ, ძვ.წ. XVI საუკუნის ხეთურ ტექსტში ვხვდებით[2]. აქ არ არის ნახსენები მისი წარმოშობის შესახებ. მეცნიერთა წრეში არის მოსაზრება, რომ აქ ლაპარაკია არა მეტეორიტულ, არამედ მადნეული წარმოშობის რკინაზე.

ხეთურ წერილობით წყაროებში არ არის მოცემული ინფორმაცია რკინის მადნის მოპოვებაზე. მიუხედავად ამისა, მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება ხეთური ხანის ცენტრალურ აზიაში უნდა სცოდნოდათ. ეს დადასტურდა ალაჯა-ჰუიუქში ძვ.წ. XXI საუკუნით დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილი რკინის სატევრის მეტალოგრაფიული ანალიზით. აღნიშნული პერიოდის არქეოლოგიური კულტურა განეკუთვნებოდა ხათებს, რომლებიც საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყვნენ ლითონთა წარმოების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს შეიძლება იმსახურებდეს

[1] ა. კახიძე, უძველესი მეტალურგიის ახლადაღმოჩენილი კერები აჭარაში. საქართველო – უძველესი მეტალურგიის კერა, ბათ., 2019 წ., გვ. 6.

[2] ირინე ტატიშვილი, ლითონი ხათურ ლექსიკაში, საქართველო უძველესი მეტალოგენური კერა, ბათ., 2019 წ., გვ. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხათის სამეფოს ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები, ანტიკური ხანის პონტო, სადაც ხეთების სამეფოს დაცემის შემდგომ პერიოდში სახლობდნენ ხალიბები.[1]

როგორც ვხედავთ, გამონათქვამის მიხედვით „ყველა გზას მივყავართ რომში“, როდესაც მადნიდან რკინის მიღების უძველეს პირველ მწარმოებელ ხალხზეა მსჯელობა, ყველა გზას მივყავართ ქართველურ ტომებთან, ხალიბებთან.

ამის თქმის საფუძველს კიდევ ერთხელ გვაძლევს ის ისტორიული ფაქტები, რომლის მიხედვითაც ცნობილია, რომ ხეთების ცივილიზაცია საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ეთნოკულტურული ტრადიციების სინთეზის შედეგი იყო. მის ბირთვს წარმოადგენდა ინდოევროპული ოჯახის ხეთები.

ხეთებმა დროთა განმავლობაში ძირძველ ადგილობრივ ხათების ტომებთან ასიმილაციის შედეგად შეითვისეს მათი კულტურა, რაც შემდგომ ხეთების კულტურითაა ცნობილი.[2]

ხეთების ცივილიზაციის დაცემის შემდეგ ჩვენ, სწორედ, აქ ვხედავთ ხალიბებს, რომლებიც უცხო ავტორების გადმოცემით, ოდითგანვე განთქმული ყოფილან რკინის წარმოებით.

წინა ანტიკური და ანტიკური ხანის წერილობითი მონაცემები, ებრაელთა ძველი მატიანისა და ასურეთის ტექსტების ცნობებით, ასევე სხვადასხვა ისტორიული წერილობითი წყაროების მიხედვით კარგად ჩანს, რომ მცირე აზია, კავკასია, კერძოდ კოლხეთი ერთ-ერთი პირველთაგანია დედამიწაზე, სადაც ჩაისახა და განვითარდა რკინის წარმოება.[3]

---

[1] ირინე ტატიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 145.
[2] История древнего востока, хетская культура, М., 2001. стр. 195.
[3] ქსე., ტ. VI, თბ., 1983, გვ. 605.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი წერილობითი წყარო, სადაც მოხსენიებულია მადნეული წარმოშობის რკინა არის ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ III-ის და ეხნატონის არქივის თიხის ფილები და მიეკუთვნება ძვ.წ. 1450-1400 წლეებს.

აქ მოხსენიებულია რკინის დამუშავება ამიერკავკასიაში, კოლხეთში. კერძოდ: ამიერკავკასიის მმართველს ეგვიპტის ფარაონისათვის ამენჰოტეპ II-ისთვის 318 მონა ქალთან ერთად, რკინის ხანჯლები და ბეჭდები გაუგზავნია საჩუქრად...

ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის გადმოცემით, უძველეს დროში, რკინა ოქროზე ბევრად მეტად ფასობდა და 1 ფუნტი რკინა 10 ფუნტ ოქროზე იცვლებოდა.

იგივე აზრს მოწმობს უძველესი ხეთური ტექსტები, სადაც ჩანს, რომ რკინა იმ ხანისთვის ფართოდ არ გამოიყენებოდა და მისგან მხოლოდ საკულტო-სარიტუალო საგნები მზადდებოდა. სავარაუდოდ იმ დროისათვის ხეთებთან რკინა ოქროზე 5-ჯერ მეტად ფასობდა.[1]

იმის გამო, რომ რკინა უძველს დროში არ იყო ყველა ხალხისათვის ცნობილი, მისი წარმოების ტექნოლოგია გასაიდუმლოებული იყო, ამიტომ იგი იშვიათი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. პირველ ხანებში იგი რკინის არამწარმოებელ ქვეყნებისათვის საიუველირო ნაკეთობებისთვის და ფუფუნების საგნებისთვის გამოიყენებოდა. მისგან ამზადებდნენ სამეფო რეგალიებს. ასევე გამოიყენებოდა გამარჯვებულ გმირთა დასაჯილდოებლად, როგორც ძვირფასი ლითონის ნაკეთობები და სხვა. ამ აზრს კარგად მოწმობს სხვა და სხვა

[1] ირინე ტატიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის სანდო წერილობითი წყაროები. ბიბლიაში ამის შესახებ მოთხრობილია: „რადგან მხოლოდ ყოგი, ბაშანის მეფე იყო დარჩენილი რეფაიმთა მოდგმიდან. აჰა, მისი საწოლი, რკინის საწოლი...“[1]

ბიბლიაში აღწერილი ეს ისტორია მოციქულ მოსეს მოღვაწეობის ხანაა, ძვ.წ. XIII-XII საუკუნე. იგი მოწმობს იმ აზრს, რომ ამ დროისათვის რკინა არ იყო გავრცელებული და იგი იშვიათი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა უცხო ქვეყნებისათვის. ბიბლიაში მოცემული ისრაელიანების ისტორიის პარალელურად იგივე ეპოქაში, ძვ.წ. XIII-XII საუკუნეებში ჰომეროსის „ილიადა“, აქ აღწერილი ტროას ომი ადასტურებს, რომ ამ დროისათვის ბერძნებისთვისაც უცხოა რკინა. ისინი მთლიანად აღჭურვილნი არიან ბრინჯაოსა და სპილენძის იარაღით. მათ აქვთ რკინის ნივთები, მაგალითად სპორტული ასპარეზობისთვის რკინის „ბადრო“, რომელიც გმირ აქილევს ბრძოლებში გამარჯვების შედეგად მოუპოვებია...

„პელიდმა მოყმეთ შესთავაზა ბადრო რკინისა,
მას წინათ მძლავრი ეტიონი ტყორცნიდა ხოლმე,
როცა ის მოკლა აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა,
სხვა საუნჯესთან ერთად ბადროც წამოუღია“.[2]

არის ასევე ნახსენები რკინის ხანჯალი, მაგრამ იგი ისევე ბრძოლებში უნდა იყოს მოპოვებული, როგორც რკინის „ბადრო“...

„მრავალი ხარი ააბღავლა რკინის ხანჯალმა,
მრავალ კანჯარის და ბატკანის კიკინი ისმა“.[3]

---

[1] ბიბლია, წიგნი მეხუთე, 3.11.
[2] ჰომეროსი, ილიადა. ქება ოცდამესამე. თბ., 1979, გვ. 517.
[3] ჰომეროსი, დასახ. ნაშრომი. გვ. 491.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღემდე ცნობილ ძველ ურარტულ წერილობით წყაროებში რკინა ერთხელ არის დასახელებული და ისიც დაკავშირებულია კოლხეთის ქვეყანასთან.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ძვ.წ. VIII საუკუნეში ურარტუს მეფე სარდურ II-ეს დაულაშქრავს კოლხეთის ქვეყანა, აუღიათ მათი ერთ-ერთი სამეფო ქალაქი და ამ გამარჯვების აღსანიშნავად, აქაური ხელოსნებისათვის უბრძანებია მისთვის რკინის ბეჭედის დამზადება.[1]

ხალიბ მეტალურგთა შესახებ ერთ-ერთ პირველ კონკრეტულ ცნობას, მათი ადგილ-საცხოვრისის და საქმიანობის შესახებ როგორც თვითმხიველი, იძლევა ფილოსოფოსი და ისტორიკოსი (ფილოსოფოს სოკრატეს მოსწავლე) ქსენოფონტე, თავის ანაბასისში (Xenoph., Anabas., V, 5, 1), რომელმაც ძვ.წ. V საუკუნის დასასრულს მოინახულა ხალიბების ქვეყანა (კოლხეთის სამხრეთ ნაწილი). იგი აღწერს, რომ ისინი, ხალიბები რკინას იღებენ ქვიშისაგან... ცხოვრობენ უპირატესად რკინის მოპოვებითა და დამუშავებით.[2]

მათ მიერ წარმოებული რკინა მაღალი ხარისხის ყოფილა, არ გამოირჩეოდა ვერცხლისაგან და არ იჟანგებოდა.

ბერძენი და რომაელი ავტორების მონათხრობიდან კარგად ჩანს, რომ რკინის წარმოება, რომელიც თავიდანვე უცხოთათვის სრულებით გასაიდუმლოებული წესით ხდებოდა, ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან თანდათან იწყებს გავრცელებას...

XX საუკუნის 50-იან წლებამდე, როგორც უცხოური წერილობითი წყაროები მოგვითხრობდნენ, ძველი კოლხები რკი-

---

[1] დავით ხახუტაიშვილი. სამტომეული, ტ. II, ბათ., 2009, გვ. 179.
[2] დავით ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის პირველი აღმომჩენები და მწარმოებლები იყვნენ, მაგრამ ამისთვის არა საკმარისი მტკიცებულებები იყო. დასმული საკითხი პასუხს ელოდა...

მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერები, როგორებიც არიან ვენის უნივერსიტეტის პროფესორი მ. ზიპე, გამოჩენილი მეცნიერი ეიჩისონი და სხვები, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „ადამიანის მიერ რკინის დამზადების ხელოვნება პირველად ჩაისახა და განვითარდა ხალიბების მიერ“.[1] არის ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც ნებისმიერ შემთხვევაში ბეძნული „ხალიბოს“ ხალიბთა ტომთან არის დაკავშირებული.

ინგლისელი მეცნიერი, მეტალების განვითარების დიდი სპეციალისტი ფორბსი თვლიდა, რომ „საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას-ფოლადის აღმოჩენას დასაბამი მიეცა პონტოში“, რომელსაც ბერძნები შავ ზღვას ეძახიან. უძველესი ქართველი ტომების ხალიბების, მუსკების (მესხების), თუბალების მელითონეობა მაშინდელ სამყაროში საქვეყნოდ ყოფილა ცნობილი.

თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა ამ აზრს, უძველესი დროიდან სხვა ისტორიულ წყაროებთან ერთად, კიდევ ერთხელ ადასტურებს წიგნთა წიგნი ბიბლია, სადაც მოხსენებულია ქართველთა ეთნარქი „თუბალი“, როგორც რკინისა და რვალის მჭედელი.

1950-იანი წლებიდან ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევებით აღმოჩენილმა რკინის სადნობმა ქურებმა და რკინის წარმოების სხვა ნიმუშებ-

[1] ქსე. ტ. VI, გვ. 605; ქსე. ტ. XI, გვ. 418.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მა, სრული დოკუმენტური სიზუსტით დაადასტურა უძველესი დროიდან დღემდე უცხოური წერილობითი წყაროებით გაბატონებული აზრი, იმის შესახებ, რომ რკინის ერთ-ერთი პირველი მწარმოებლები კოლხური ტომები, ხალიბები, მოსინიკები და თუბალები იყვნენ. უფრო მეტიც, დადასტურებული იქნა, რომ რკინის წარმოებაში დაწინაურებული ყოფილა არა ერთი რომელიმე ტომი, არამედ მთლიანად კოლხური ტომები, როგორც შავი ზღვის სანაპიროს, ასევე მთიანი კოლხეთის მაცხოვრებლები. ქობულეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, მდინარე ჩოლოქის აუზში (სოფ. ლეღვა) რკინის სადნობი სახელოსნოს აღმოჩენამ, რომელიც ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ისტორიული ძეგლია კოლხეთის ტერიტორიიდან და თარიღდება ძვ.წ. აღრიცხვის XIII-XII საუკუნით,[1] დაადასტურა აზრი იმის შესახებ, რომ უძველეს ქართველურ ტომებს II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მთავარი სიტყვა უთქვამთ რკინის მეტალურგიის შექმნასა და საუკუნეების მანძილზე მის განვითარებაში.

ძვ.წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ კოლხეთი წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს.[2]

უძველეს კოლხთა რკინის წარმოების ცენტრები ასევე აღმოჩენილი იქნა ზღვისპირა და მთიანი კოლხეთის ტერიტორიებზე. ამათგან ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ყველაზე მოგვიანებით 2000 წელს ჩაქვის ხეობაში,

---

[1] დავით ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 187.

[2] გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბ., 2001, გვ. 45.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდინარე ზღვიწყლიპირის მიმდებარედ (ჩაქვის წყლის შენაკადი) არსებული, უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოს აღმოჩენა. იგი როგორც შემაერთებელი რგოლი ადასტურებს, რომ უძველს კოლხეთში რკინის წარმოება განვითარებული იყო როგორც მის სამხრეთ, ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და კოლხური მეტალურგიის ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენდა.

რკინის წარმოება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან საუკუნეების მანძილზე ძირითადად საიდუმლოდ ვითარდებოდა. ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულიდან ფართო გავრცელებას პოულობს.

რკინის წარმოებასთან ერთად საქართველოში დიდად განვითარდა ხელოსნობა. XIX საუკუნის შუახანებამდე მჭედლობა ქართველი კაცის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია რკინის წარმოების სხვა იარაღებთან ერთად მაჭახლის ხეობაში მაჭახლის თოფის წარმოება, რომელიც XVIII საუკუნის ბოლომდე გავრცელებული იყო მთლიანად საქართველოსა და ევროპის რიგ ქვეყნებში.

* * *

კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს კულტურა მთელ ძვ.წ. III ათასწლეულს მოიცავს. ყველაზე ადრეული ძეგლები აღმოჩენილია ჩრდილო-დასავლეთ (ვორონცოვის მღვიმეები) და სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში (ჩაქვის ნამოსახლარები)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლო და ძვ.წ. III ათასწლეულით განისაზღვრება.[1]

ძვ.წ. III ათასწლეულში კოლხეთის შავიზღვისპირეთის მთელ სიგრძეზე ფიქსირდება ერთგვაროვანი, განვითარების ერთი გზის მქონე თვითმყოფადი, მძლავრი, ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურა მაღალგანვითარებული მეტალურგიით, რაც შემდგომ გახდა მთავარი საფუძველი, რკინის მეტალურგიის განვითარებისა, მათ შორის ჩაქვის წყლის ხეობაში.

უძველეს კოლხთა ჩაქვის რკინის სადნობი სახელოსნო მდებარეობს სოფელ ჩაისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის სანაპიროდან დაახ. 4 კმ-ის დაშორებით, მდინარე ზღვიწყლიპირის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ბორცვზე.

„რკინის სადნობი სახელოსნო პირობითი სახელწოდებით „ჩაისუბანი I“ წარმოდგენილი არის ორი ქურით, რომლებიც გამართული ყოფილა ერთმანეთის პარალელურად 50 სმ-ის დაშორებით. ქურები კონსტრუქციით ჩაბრუნებული პირამიდის ფორმისაა.

დღეისათვის შემორჩენილია ქვის წყობის სამი რიგი, კედლები ნაგებია ფლეთილი ქვებით. ქვის ქვედა რიგი და ქურის ძირი თიხითაა შელესილი. ქურების მახლობლად გამართული ყოფილა ბრტყელი ქვებითა და საშუალო სისქის კერამიკის ფრაგმენტებით მოზაიკურად მოკირწყლული საჟეპელა. ქურები, საჟეპელა, რკინის წარმოების შედეგად ნარჩენი წიდები ინახება ამ ტერიტორიაზე, ხოლო გათხრების შედეგად

[1] გურანდა ფხაკაძე, კოლხეთის დაბლობის ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურის კვლევის ზოგიერთი ასპექტები. ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №2, 1998, თბ., გვ. 32.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღმოჩენილი სხვა და სხვა სახის კერამიკული ნაწარმი და ქვის ინვენტარი ინახება ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში (სურ. 1, 2, 3).

რკინის სადნობი ქურა-სახელოსნო, როგორც ჩანს, სანაპირო ზოლის მაგნეტური ქვიშის ბაზაზე მუშაობდა.

ჩაისუბანი I თარიღდება ძვ.წ. X-VIII სს" – აღნიშნავს ჩაქვის უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოს შესახებ, ქ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი, არქეოლოგი, პროფესორი ამირან კახიძე.

გერმანელი ექსპერტების აზრით ჩაქვის რკინის სადნობი სახელოსნო კიდევ უფრო ძველია და იგი ძვ.წ. XI საუკუნით თარიღდება.

ამის შესახებ მოგვითხრობს ექსპედიციის წევრი, არქეოლოგი ნანა ხახუტაიშვილი; „ჩვენ მიერ გათხრილი (2000 წ.) რკინის სადნობი სახელოსნო „ჩაისუბანი I" კერამიკული მასალის მიხედვით ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით თარიღდება. ქურების ასაკის დადგენისათვის დამატებით მასალას მოგვცემს ორივე ქურიდან აღებული ნახშირის სინჯების ანალიზი, რომელიც, ჩვენი გერმანელი კოლეგების დახმარებით გაკეთდება იენისა და ბოხუმის უნივერსიტეტების ლაბორატორიებში".[1]

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაკეთებული აღმოჩენების მიხედვით ირკვევა, რომ გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში კოლხეთის შავიზღვისპირეთში

[1] ნანა ხახუტაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი. უძველესი რკინის მეტალურგიის ახალი კერა ჩაქვის წყლის ხეობაში. ძიებანი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №9, 2002, თბ., გვ. 36.



სურ. 1. ძველკოლხური რკინის სადნობი სახელოსნოს რეკონსტრუქცია.
შესრულებულია ანზორ ჯაველიძის მიერ



სურ. 2



სურ. 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქმედ რკინის მეტალურგიის უძველეს კერებს შორის, სადაც რკინის წარმოება ისახებოდა და ვითარდებოდა, ჩაქვის რკინის სადნობი სახელოსნო იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეტალურგიის კერა.

უძველეს წინაპართა მიერ ჩაქვის რკინის სადნობი სახელოსნოს აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსება არ იყო შემთხვევით და იგი სხვა და სხვა მიზეზთა გამო იყო აქ განპირობებული. კერძოდ:

1. როგორც ვიცით რკინის მისაღებად საჭირო მასალა, მაგნეტიტური ქვიშა რკინის ოსტატებს ზღვისპირეთიდან მოჰქონდათ. სავარაუდოდ მდინარეების-სუფსისა და ნატანების შესართავი ტერიტორიიდან, საიდანაც ნედლეულით მარაგდებოდა ჩოლოქ-ოჩხამურის და სუფსა-გუბაზეულის აუზში მოქმედი რკინის წარმოების სახელოსნო ცენტრები. შავი ზღვისპირეთის ეს მონაკვეთი დღესაც გამოირჩევა მაგნეტიტური ქვიშის დიდი მარაგით. არის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არ არის გამორიცხული, ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ჩაქვის ტერიტორიის სანაპირო ზოლი მდიდარი ყოფილიყო მაგნეტიტური ქვიშით, რამაც აქ განაპირობა რკინის წარმოების კერის წარმოშობა.

2. ქვიშისაგან რკინის მისაღებად საჭირო იყო მაღალი ტემპერატურა, დაახლოებით 1200-1600 გრადუსამდე. 1კგ ქვიშისაგან მიიღებოდა 40 პროცენტი რკინა. გამოდნობის შედეგად ნარჩენი წიდები ისტორიული რკინის სახელოსნოს ტერიტორიაზე დღესაც უხვადაა მოფენილი, რაც უდავოდ მოწმობს, რომ აქ რკინის წარმოება საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი მაღალი ტემპერატურის მიღება შესაძლებელი იყო წაბლის, წყავის და შკერის ხის მასალისაგან.

ჩაქვის ხეობა ამ ჯიშის მცენარეებით სწორედ, რომ უხვად იყო დაჯილდოებული. დღესაც ვხდებით სოფ. ჩაისუბანში, რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორიასთან ველური წაბლის, წყავისა და შკერის კვალს.

აქვე ზღვიწყლიპირის უბანში მოიპოვებოდა ცეცხლგამძლე თიხა, რომელიც საჭირო იყო ლითონის გამოსადნობი ქურების გასამართავად.

როგორც ვხედავთ, რკინის ოსტატებისათვის მაგნეტიტური ქვიშის შორიდან მოტანა უფრო იოლი იყო, ვიდრე საწვავი მასალის და ცეცხლგამძლე თიხის შორს, ზღვისპირად გადატანა.

3. აქვე იყო მდინარე „ზღვიწყლიპირი“, წყალი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სამუშაო პროცესისათვის.

4. სახელოსნო განთავსებული იყო მოხერხებულად, შემაღლებულ ბორცვზე, საიდანაც ადვილად ხდებოდა რკინის მიღების შემდეგ ნარჩენი წიდების ბორცვიდან ქვევით დაგორება.

5. ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღნიშნულ ტერიტორიაზე რკინის სახელოსნოს არსებობისა იყო ის, რომ თავდაპირველად რკინის წარმოება ხდებოდა გასაიდუმლოებული წესით.

ჩაქვის მეტალურგიის კერა, როგორც ერთ-ერთი პირველთაგანი, საიდუმლო წარმოება ყოფილა.

მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ იქნა შერჩეული კოლხი მეტალურგების მიერ აღნიშნული ტერიტორია, ზღვიწყლიპირის უბანი რკინის წარმოების სახელოსნოსთვის მისი საუდუმლოების დაცვის მიზნით, რაც ვფიქრობ ლოგიკურია და საინტერესო:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა ჩაქვი, საერთაშორისო სატრანზიტო მაგისტრალის შემადგენელი ნაწილი იყო. მთავარი გზა ზღვის სანაპიროზე გადიოდა, სავარაუდოდ იყო საზღვაო მიმოსვლა. მეორე ხარისხოვანი გზა გადიოდა ჩაქვის თავზე.

ზღვის სანაპიროზე და სამთო ბილიკებით მიმავალ უცხო მგზავრთათვის ჩაქვის მეტალურგიის ცენტრი იყო დაფარული. იგი განთავსებული იყო ჩაქვის ხეობაში ჩამალულ მცირე ხეობაში, ზღვიწყლიპირის უბანში, სადაც ველური წაბლით, მუხით, ბზით, მურყანით (თხემლა) და წყავით დაბურულ ტყეში გაჩაღებული იყო რკინის წარმოება.

ზემოგანხილული მასალებიდან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ ჩაქვის რკინის სადნობი სახელოსნო სხვა მეტალურგიის კერებთან ერთად, რომლებიც იმდროისათვის მოქმედებდნენ, საერთო კოლხური მნიშვნელობის ერთ-ერთი პირველი რკინის წარმოების ცენტრია. უფრო მეტიც, ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან, I ათასწლეულის დასაწყისში მოქმედი კოლხური მეტალურგიის სახელოსნოები მოწმობენ, რომ ძველი კოლხეთია რკინის მეტალურგიის არა მხოლოდ თავდაპირველი სამშობლო, არამედ რკინა ფოლადის ძირითადი მწარმოებელი ამ დროისათვის, რომლის ნაწარმი ვრცელდებოდა მთლიანად კავაკასიაში და მის ფარგლებს გარეთ უცხო ქვეყნებში.

არქეოლოგიური კვლევები მოწმობენ, რომ ქართველი მეტალურგები ჯერ კიდევ ძვ.წ. III-II ათასწლეულებიდან ჩართული ყოფილან საერთაშორისო ვაჭრობაში. ამას ადასტურებს ამ დროით დათარიღებული კოლხური ცულების გავრცელების ფართო არეალი:

ეგვიპტე, საბერძნეთი, კუნძული კრეტა, კვიპროსი, სირია, პალესტინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველების მიერ რკინის წარმოების ტექნოლოგია, საუკუნეების მანძილზე, როგორც ჩანს საიდუმლოდ კარგად ინახებოდა.

ამას მოწმობს სხვა და სხვა ისტორიული ფაქტები ებრაელი, ბერძენი, ურარტუსა და სხვა ხალხის ცხოვრებიდან, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

განსაკუთრებით საინტერესოა ბერძენი ხალხის ინტერესი ამ მიმართულებით, რომელთაც უფრო მეტი მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ კოლხეთთან. ისინი ბუნებრივია თავიდანვე დაინტერესებულნი იქნებოდნენ რკინის ტექნოლოგიების ათვისებით, რაც ალბათ, ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო არგონავტების საქართველოში მოგზაურობის დროს.

ბერძნული გენია სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ შორეული ნაოსნობის შედეგად ახალი მიწების აღმოჩენისას სხვადასხვა ცივილიზაციებთან პირდაპირ კონტაქტის დამყარებით ბერძნები კი არ უარყოფდნენ, არამედ პირიქით ითვისებდნენ მათ სიბრძნე-გამოცდილებას და შემოქმედებითი მიდგომით კიდევ უფრო ამდიდრებდნენ და სრულყოფდნენ მას.

ამის შესახებ ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი წერს: „რაც არ უნდა გადმოეღოთ ელინებს ბარბაროსებისაგან, ისინი ყოველთვის უმაღლეს სრულყოფამდე განავითარებდნენ მას“. (სიტყვა „ბარბაროსი“-ში ბერძნები თავდაპირველად არ გულისხმობდნენ სხვის მიმართ დამაკნინებელ მნიშვნელობას. არამედ ამით გამოიხატებოდა „უცხო“, რომელიც მათთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდა).[1]

[1] А.В. Волошинов. Пифагор. М. „Просвешение“, 1993 г., стр. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰომეროსის ეპოქაში ბერძნებს შავი ზღვის სანაპიროზე ასეულობით ბერძნული დასახლებები, კოლონიები გააჩნდათ, მაგრამ ისინი ამ დროისათვის არ არიან რკინის მწარმოებლები, რაც კარგად ჩანს ისტორიული წერილობითი წყაროებიდან. მიუხედავად იმისა, რომ კოლხებს სხვადასხვა უცხო ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობები ჰქონდათ, კოლხური რკინის ნაწარმი პროდუქცია ფართოდ ვრცელდებოდა მაშინდელ მსოფლიოს ქვეყნებში, მისი წარმოების ტექნოლოგია, თვით სახელოსნოები, რკინის წარმოების პროცესი საუკუნეების მანძილზე, როგორც ჩანს, მკაცრად საიდუმლოდ ინახებოდა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ჩვენს წინაშე, ჩაქვის (ასევე, ჩოლოქის, ჭარნალის) უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნო.

რკინის წარმოების განვითარებასთან ერთად ვაჭრების ფენის პარალელურად გაჩდნენ „მოხეტიალე მჭედლები“, რომელნიც მიემგზავრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, სამუშაოს საძიებლად, რამაც თავის მხრივ განაპირობა რკინის წარმოების გავრცელება.

* * *

ჩაქვის, ჩაისუბნის უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნო არქეოლოგიურად 2000 წელს იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი.

პირველი საველე სადაზვერვო კვლევა, რომლითაც დადგენილ იქნა აღნიშნულ ტერიტორიაზე სავარაუდოდ ძეგლის არსებობა, ჩატარდა აკადემიის წ/კ დავით ხახუტაიშვილის მიერ. მას აღარ დასცალდა კვლევითი პროცესის გაგრძელება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მუშაობა გააგრძელა პროფესორ გია თავამაიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის ჯგუფის წევრები იყვნენ: ნანა ხახუტაიშვილი, ნარგიზ სურმანიძე, ანზორ ჯაველიძე.

ათეული წლების მანძილზე, არქეოლოგთა დაუღალავი შრომის შედეგად უძველეს კოლხთა რკინის სადნობი ცენტრების აღმოჩენა, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ერთობლივი მუშაობის დიდი მიღწევა იყო ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მონაპოვარის შესწავლის საქმეში.

ბათუმის მიდამოებიდან დიდი კავკასიის მისადგომებამდე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს რკინის წარმოების უნიკალური ცენტრები, რომელიც ოთხასამდე არქეოლოგიურ ობიექტს მოიცავდა.

ეს კერები წარმოდგენილი იყო მდინარეების ჭოროხის, ჩოლოქ-ოჩხამურის, სუფსა-გუბაზეულის და ხობ-ოჩხომურის მთისწინა ზოლში. და ბოლოს 2000 წელს მათ რიცხვს შეემატა ჩაქვის წყლის ხეობის რკინის საწარმოო კერა (სურ. 4).[1]

1960-იანი წლების დასაწყისში აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა, ამ მოვლენას დიდი აღფრთოვანებითა და იმედით შეხვდა: „ეს სწორედ იმის მოწმობაა, თუ რაოდენი მნიშვნელობის საკითხები დაისმის და გადაიჭრება ამ დიდი არქეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაშლა-გაღრმავების საფუძველზე. ეს არის დიდი საქმის დასაწყისი. მისი შემდგომი წარმატება ყოვლად საიმედო ჩანს...“[2]

---

[1] ნანა ხახუტაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, უძველესი რკინის მეტალურგიის ახალი კერა ჩაქვისწყლის ხეობაში. ძიებანი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, №9. 2002, თბ., გვ. 34.

[2] დავით ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 11.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიუხედავად ასეთი დიდი მოლოდინისა, რაც უნდა მოჰყოლოდა ამ დიდ აღმოჩენებს, მსოფლიო მნიშვნელობის ძვ.წ. XIII-XII; XI-VIII საუკუნის უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოები, რომლითაც იამაყებდა ნებისმიერი ერი, არქეოლოგიური შესწავლის შემდეგ ბედის ანაბარა იქნა მიტოვებული. კარგი იქნებოდა მომხდარიყო მათი კონსერვაცია, განსაზღვრულიყო ობიექტის ისტორიულ-კულტურული ღირებულება, კარგი იქნებოდა ერთ ობიექტს მაინც მინიჭებოდა, ისტორიული ძეგლის სტატუსი.

სამწუხაროდ, 1990 წლებიდან სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს ძეგლები დავიწყებას მიეცა, დაიკარგა ან განადგურდა. იმ ტერიტორიების დიდი ნაწილი, სადაც ძეგლები იყო განთავსებული, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო მოხმარების მიზნით იქნა შემოღობილი, გადახნული და ათვისებული.

ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის გადარჩენა, როგორიცაა უძველეს კოლხთა ჩაქვის, ჩაისუბნის რკინის სადნობი სახელოსნო, შესაძლებელი გახდა (2017 წელს) აჭარის მამულიშვილთა კავშირის წევრთა მიერ საკუთარი ენთუზიაზმით (კავშირის თავმჯდომარე, ძეგლის გადარჩენისა და აქ მუზეუმის გაშენების იდეის ავტორი ნიაზ ბოლქვაძე), აჭარის ძეგლთა დაცვის სააგენტოს, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერების, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, რომელსაც აღნიშნული ტერიტორია მიეკუთვნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაქვის უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნო, ისევე როგორც სხვა მეტალურგიის კერების შემთხვევაში, შენახვა-კონსერვაციის გარეშე დარჩენილი ისტორიული ძეგლი 17 წლის მანძილზე ქარის, წვიმისა და ღვარცოფის შედეგად, რაც ასე განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩაქვის ხეობისათვის, დაკარგული იყო. ამიტომ, თავიდან, ხელახლად მოგვიხდა კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ტერიტორიის გათხრა სპეციალისტების თანხლებით, ძეგლის ადგილსამყოფელის დასადგენად და საერთოდ იყო იგი იქ, თუ არა. მოსახლეობას ეს ტერიტორია თვითნებურად საყანედ შემოეღობათ და დაემუშავებინათ. ისტორიული ძეგლის ტერიტორია ნაწილობრივ გადახნული დაგვხდა. ქვის მაგიდა „საჟეპელა“ სრულებით განადგურებულიყო, ერთი ღუმელი კი ნაწილობრივ დაზიანებული. შევძელით ერთი ღუმელის დროულად უვნებლად გადარჩენა, ასევე იქ მიმოფანტული ძეგლის ნაწილების შეგროვება რესტავრაციის მიზნით, ამის შემდეგ ისტორიული სახელოსნოს ტერიტორია მთლიანად შემოვღობეთ (იხ. ფერადი ჩანართები).

ისტორიული სახელოსნოს ტერიტორიაზე 2018 წელს ჩვენს მიერ საგანგებოდ ორგანიზებულ ღონისძიებაზე მოწვეულმა სტუმრებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა, ხელისუფლების, საკანონმდებლო ორგანოებისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ერთხმად მოიწონეს ჩვენი წინადადება ძეგლის გადარჩენისა და აქ, ღია ცის ქვეშ მუზეუმის გაშენების აუცილებლობის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მტერი მტერსა ვერა ავნებს,
რომე კაცი თავსა ივნებს
შოთა რუსთაველი

ბედს რომ იტყვიან, არ ვიცი
რა ვუქო ბედს საქებელი?
ბედმან შეკრიბოს, ჭკუამ ფანტოს,
გვექნების რა სარგებელი?
დავით გურამიშვილი

რამდენი სიბრძნის მარგალიტი უნდა მოვიყვანოთ ქართველი ხალხის სიბრნის საგანძურიდან, რომლის გაუთვალისწინებლობის გამოც, ის სამწუხარო რეალობა გადმოვცე რასაც ჩვენ ხშირად ვიჩენთ უფლის მიერ, ჩვენთვის ბედით ბოძებულ წინაპართა ნიჭითა და ღვაწლით შექმნილ კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, უფრო მეტ ზიანს ვაყენებთ საკუთარ თავს, ეროვნულ ინტერესებს, ვიდრე მტერი მოგვაყენებდა.

საქართველო, მსოფლიო დონის არაერთი მწერლის, შემოქმედის, მეცნიერის, პოლიტიკოსის, მხედარმთავრის, სპორტსმენის აღმზრდელი, მათ შორის უპირველესად, რკინის მეტალურგიის სამშობლო, რამაც კაცობრიობის განვითარების ისტორიაში თავის დროზე ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა, რატომ იწოდება დღეს განვითარებად ქვეყნად?... ამის პასუხად შეიძლება მოვისმინოთ სხვა და სხვა გარე და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიგა ფაქტორები საკუთარი გულგრილობის...და უყურადღებობის გარდა.

ვფიქრობ, ამ საკითხთან დაკავშირებით სასარგებლო იქნება მოკლე ექსკურსი, ანალიზი ჩვენი ისტორიული და თანამედროვე ცხოვრებიდან.

აკადემიის წ/კ დავით ხახუტაიშვილი, თავის წიგნში უფლისციხე – ქალაქი კლდეში – დიდად საინტერესო მასალას გვაწვდის მეფის რუსეთის ეპოქაში, საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი კვლევის საწყისს ეტაპთან დაკავშირებით, კერძოდ, არქეოლოგიის კვლევის მაშინდელ მეთოდებთან, ასევე რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებით.

„კავკასიის წარსულის შესწავლაში (რაც უნდა დაწყებულიყო), უფლისციხის შესწავლას საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა. იმავე წელს (იგულისხმება 1852 წელი, ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ საგაზეთო წერილის თარიღის მიხედვით – ნ. ბ.) დ. მეღვინეთუხუცესს უფლისციხეში მცირე მაშტაბის გათხრებიც ჩაუტარებია, მაგრამ საინტერესო ვერაფერი უპოვია...ამ დროის გამთხრელები უპირატესად, სამუზეუმო ნივთების მოპოვებით იყვნენ დაინტერესებულნი. ამაში ბრალი ცარიზმის ხელისუფლებასაც მიუძღოდა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა, რუსეთის იმპერიაში მოსახლე ე. წ. „მცირე ერების“ თვითშეგნების ფორმირება შეეფერხებინა და მეცნიერებასაც შესაბამის მიმართულებას აძლევდა... საქართველოს წარსულის შესწავლა ასეთ მდგომარეობაში იყო. ასეთ ვითარებაში ყველაფერი, ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვანი, გარედან მოტანილად და ნასესხებად ცხადდებოდა და მკვლევართა დიდი ნაწილიც თავის ნიჭსა და მომზადებას ამ მცდარი დებულების დასაბუთებას ახმარდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული პროგრესული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს, დიდი ილიას მეთაურობით შეგნებული ჰქონდა, თუ რა გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ქვეყნის წარსულის ცოდნა ერის გამოღვიძებისა და ეროვნული თვითშეგნების გამტკიცებისათვის“...[1]

ცარიზმის შემდეგ კომუნისტურ ეპოქაში საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ქართველი ერის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების მიზნით, ილია ჭავჭავაძის გზის გაგრძელებას, კერძოდ, რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებით ვხედავთ ნიკო ბერძენიშვილის მოღვაწეობაში, რომელმაც უძველესი რკინის წარმოების კერების აღმოჩენას დიდი სიხარულით და იმედით გამოეხმაურა, რომ ეს იყო დიდი საქმის დასაწყისი, რომელსაც ბუნებრივია უნდა მოჰყოლოდა აღიარება იმისა, რომ საქართველო რკინის ერთ-ერთი პირველი აღმომჩენი და მწარმოებელია დედამიწაზე, რაც დიდად აამაღლებდა ქართველი ერის თვითშეგნებას, ეროვნულ ღირსებას, მის დამსახურებას მსოფლიო ხალხთა წინაშე.

ამ აზრს კიდევ ერთხელ კარგად მოწმობს უფლისციხესთან მიმართებაში რკინის მეტალურგიის მთავარი როლი, რაც ასევე ყველა ხალხის მიმართ იგულისხმება განურჩევლად ეროვნებისა.

უფლისციხე რომელიც ერთ-ერთი პირველი კერაა ქართული სახელმწიფოებრივი ჩანასახისა, საფუძველი ჩაეყარა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. ამ დროისათვის უფლისციხის მიდამოებში მცხოვრები ერთ-ერთი ძლიერი

[1] დავით ხახუტაიშვილი. უფლისციხე – ქალაქი კლდეში. თბ., 1989. გვ. 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემი კლდეებში დასახლებულა, იქ არსებული ბუნებრივი ქვაბები საცხოვრებელ სახლებად გაუმართავს... ასე წარმოშობილა კლდეში ნაკვეთი დასახლება. ისმება კითხვა, „თუ რატომ არ იქნა ათვისებული კლდეები საცხოვრისად მანამდე, ე. ი. ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგამდე... რკინის სამეურნეო იარაღების გამოყენება შიდა ქართლში პირველად სწორედ II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება. რკინა-ფოლადის იარაღების უქონლად კი მხოლოდ სპილენძ-ბრინჯაოს იარაღებით, კლდის მასივებში ფართო მაშტაბის სამუშაოების წარმოება შეუძლებელი იყო. ამიტომაა, რომ კლდის სოფლის გაძლიერება, დროის მიხედვით დაემთხვა რკინა-ფოლადისაგან დამზადებულ სამეურნეო იარაღების გამოჩენას“[1] – აღნიშნავს დავით ხახუტაიშვილი.

იმ ცხოვრებისეული სიბრძნის თანახმად, რომ ისტორიას ვსწავლობთ, არა ისტორიისათვის, არამედ ერისა და საერთოდ კაცობრიობის ღირსეული აწმყოსა და მომავლისათვის, განვლილი წლების ანალიზის შედეგად შევძლოთ სწორი მიმართულების აღება სხვა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე ყურადღება მინდა გავამხვილო მთავარზე.

როგორც ვნახეთ, აკადემიის წ/კ დ. ხახუტაიშვილის მიერ კარგად არის წარმოჩენილი ცარიზმის ეპოქაში იმპერიაში შემავალი ერების ისტორიისადმი დამოკიდებულება, ყველაფერი დიადისა და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის მიმალვის, არ წარმოჩენის პოლიტიკა; ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის კერებიდან მხოლოდ არც თუ დიდად

[1] დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი სამუზეუმო ექსპონატების მუზეუმებში გადატანით დაკმაყოფილება; უფლის ციხის მაგალითზე წარმოდგენილია რკინა ფოლადის როლი, რაც მთავარი ფაქტორი გამოდგა კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის; ასევე წარმოდგენილია ქართველი ერის წინაშე მდგარი საფრთხეები, რომელიც საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის აქტუალური შეიძლება იყოს. ამ საფრთხეებისაგან თავის დაცვის მიზნით კი, სწორედ, რომ უძველეს წინაპართა მემკვიდრეობის დაცვას უდიდესი როლი ეკსირება.

მიუხედავად ასე ბრწყინვალედ წარმოდგენილი ანალიზისა, სადაც გამოკვეთილია წინაპართა მემკვიდრეობის ერთერთი მთავარი როლი ერის მომავლის განსაზღვრის საქმეში, სამწუხაროდ, ვხედავთ რომ ცარიზმის შემდეგაც, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებშიც კი ხშირად ცარიზმის იგივე მეთოდებით გაგრძელდა, კერძოდ, რკინის მეტალურგიის ისტორიის წარმოჩენის საკითხი, ამ მხრივ კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისადმი დამოკიდებულება.

უდავოდ ვაღიარებთ რკინის მეტალურგიის კერების აღმოჩენისა და შესწავლის საქმეში ქართველი მეცნიერების ღვაწლს, მაგრამ შემდგომ თვით ისტორიული კერების ბედი ცარიზმის მეთოდებით წარიმართა. სამწუხარო ფაქტები თავისთავზე მეტყველებენ. უძველესი რკინის სადნობი სახელოსნოების აღმოჩენისა და შესწავლის შემდეგ მოხდა მხოლოდ უმნიშვნელო სამუზეუმო ექსპონატების, სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმისა და ქვის ინვენტარის გადატანა მუზეუმებში, სადაც იქ არსებულ ათასობით სხვა მნიშვნელო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის ექსპონატებთან ერთად ვერ ახდენს იმ შთაბეჭდილებას მნახველებზე, რომელიც დედამიწაზე ერთ-ერთი პირველადი რკინის წარმოების ნიმუშების რეალურად ნახვას შეიძლება თან ახლდეს. ასევე დაიბეჭდა ამ თემაზე მრავალი სტატია, დაიწერა წიგნები, რაც დიდად საინტერესოა და დასაფასებელი, მაგრამ თვით მთავარი, უძველესი რკინის სადნობი სახელოსნოები-თავისი ღუმელებითა და ქვის მაგიდებით, რომელიც თავისი არსებობის სამი ათას (3,000) წელზე მეტს ითვლის, მიტოვებული იქნა და როგორც უკვე ზემოთ ითქვა, დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა, დაიკარგა ან განადგურდა.

ბუნებრივია, არავინ ფიქრობს, მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე ამ მიმართულებით, აღმოჩენილი ისტორიული ძეგლების ირგვლივ, მუზეუმების მშენებლობას, ეს შეუძლებელიც იქნებოდა და ალბათ უინტერესოც, მაგრამ რამდენიმე, ყველაზე კარგად შემონახული ძეგლების გადარჩენა აუცილებლობას მოითხოვდა, როგორც რეალურად ნივთიერი დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ საქართველო რკინის ერთ-ერთი პირველი სამშობლოა.

„ავს თუ ავი არ ვუწუდო, კარგს სახელად რა დავარქო“ – გვეკითხება თავის დროზე უსამართლობით გულდამძიმებული ბრძენი გურამიშვილი.

ამ საკითხით დაინტერესებული სპეციალისტები, გულისტკივილით მოგვითხრობენ ფაქტებს, როდესაც, მაგალითად, ბათუმში სპეციალურად ჩამოვიდნენ ინგლისელი მეცნიერები, ისტორიკოსები და მოითხოვეს პირადად ენახათ ეს სენსაციური აღმოჩენები, ლეგენდარული ქ. ტროიას თანამედროვე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვ.წ. XIII-X საუკუნის რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი პირველი კერები დედამიწაზე. ჩოლოქში, სუფსაში და სხვაგან ჩასულებს კი, სადაც არქეოლოგიური ძეგლები იყო აღმოჩენილი, არაფერი დახვდათ... განადგურებული აღმოჩნდა. უცხოელი მეცნიერები გაოცებას და ბრაზს ვერ მალავდნენ და გულდაწყვეტილები წავიდნენ.

როდესაც უძველესი დროის სხვადასხვა ქვეყნების ისტორიული წერილობითი წყაროები და მსოფლიო დონის მოაზროვნე განმანათლებლები (ჰეკატე მილეთელი, ევრიპიდე, ქსენოფონტე, არისტოტელე, სტრაბონი და სხვები), ჩვენი დროის გამოჩენილი უცხოელი და ქართველი არქეოლოგები (ფორბსი, ეიჩისონი, მ. ზიპე, ნ. ბერძენიშვილი, ი. გძელიშვილი, ნ. ხოშტარია, დ. ხახუტაიშვილი ი. გაგოშიძე, ა. კახიძე და სხვები) თანხმდებიან იმაზე, რომ ქართველები, ძველი კოლხური ტომები რკინის ერთ-ერთი პირველი აღმომჩენნი და მწარმოებლები იყვნენ, საქართველო რკინის სამშობლოა, რასაც არქეოლოგიური აღმოჩენები ნივთიერი მტკიცებულებებით ადასტურებენ, ეს ძეგლები კი ჩვენს წინაშეა, ამ დროს არაფრის გაკეთება, მისი არ წარმოჩენა და პირიქით, გულგრილობით, უყურადღებობით განადგურება დიდი მავნებლობა და დანაშაული იქნება ქართველი ერისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე.

გადარჩენილი უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოები თავისი მნიშვნელობით საქართველოს მატერიალურ-კულტურულ მემკვიდრეობათა შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლებად უნდა ფასდებოდეს. ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ქართული მატერიალური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კულტურის ძეგლის უფლისციხის, კლდეში ნაკვეთი ქალაქის წარმოშობა და შემდგომი განვითარება, სწორედ, რომ უპირველესად ქართველი მეტალურგების მიერ ამ სახელოსნოებში რკინა-ფოლადის იარაღების წარმოებაზე ყოფილა დამოკიდებული. ეს ძეგლები, ამ შემთხვევაში გადარჩენილი ჩაქვის უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოს ღუმელები, რომლებიც 3100 წელს ითვლის, ზოგადასაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობაა. ამ აზრის ჭეშმარიტებას მოწმობის ის სასიამოვნო ფაქტი, რომ სულ ახლახან (21.11.2019 წ.) საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტომ, ჩაქვის ისტორიულ რკინის სადნობ სახელოსნოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

ჯერი იუნესკოზეა!

აქ ღია ცის ქვეშ მუზეუმის არსებობა ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, ფაქტობრივად ნათლად წარმოაჩენს ქართველი ერის როლს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, რომ ეს არის უძველეს ქართველთა სამშობლო, უძველესი კულტურის ერისა, რომელმაც კაცობრიობას ერთ-ერთმა პირველმა მისცა რკინა!

ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენასთან ერთად, ეს იქნება ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისა და ღირსეული მომავლის ერთ-ერთი მტკიცე საფუძველი, რომელსაც საუკუნეები ვერაფერს დააკლებს!

For the Preservation of Ancestral Heritage

Georgia

Chakvi – Origins of Ancient Metallurgy

(Summary)

Modern international society has lots of challenges. Among them, one of the significant issues, which need to be paid attention, is the state of ancestors' cultural heritage, especially in small countries. Devastation, misappropriation or infringement of material cultural monuments take place there...

In many cases, because of ambitions of politicians, their purpose is to expand spheres of their influence, which are followed by devastation of cultural monuments, through which, for sure, universal cultural inheritance is devastated as well. Generations of various nations have definite liberal share in its creation.

There are lots of regrettable examples of this in duration of last decades, including deplorable condition of ancient cultural monuments in Iraq and Syria, almost devastated Georgian cultural monuments on the territory of Turkey: Oshki, Bana, Opiza and etc. currently, David Gareja Monastery Complex has appeared before the same threat. They all are one of the best examples of Georgian, as well as of universal historical cultural inheritance.

In this respect, for the purpose of improving the situation, activity of International Organization UNESCO is promising. You'd agree us, that just the activity of UNESCO shall not give good results if

there is not involvement and support of representatives of separate nations, general public, from our side, sense of higher responsibility in this activity, having divine, secular, universal importance, which is called preservation of ancestral cultural heritage.

Therefore, we decided to establish foundation For the Preservation of Ancestral Heritage, which through cooperation with the Ministry of Culture and Education of Georgia, UNESCO, scientists of this field, general public, shall care on revealing ancient cultural inheritance, on its preservation and demonstration.

We regard, that through surviving our spiritual and material cultural inheritance, which is integral part of cultural achievement of general public, we shall be able within the conditions of universal globalization to preserve national values and appear before international society and modern challenges with dignity.

One of the first facility under care of the Foundation shall be survival of ancient Colchis Iron Workshop, which is dated by XI-X BC in Ckakvi Chaisubani (Kobuleti Municipality). Here, in the open air shall be built museum which shall be renovated in its initial form: process of iron production in an underhand way in wildwood with oaks, chestnut, laurel.

Ancient Colchis Iron Workshop of Chakvi is the only one among those, which are still remained from one of the first Iron Workshops, from which the manufacturing of iron is originated; this is the approval of the fact, that the ancient Colchis people were one of the first discoverers and manufacturers of iron.

* * *

Colchis in the Late Bronze Age and Early Iron Age was known not only by material wealth, but by spiritual culture as well, the reason for that was that besides merchants and politicians, in Colchis

were also interested creative, intellectual society, philosophers, historians, writers.

The first early sources, which narrates about Kartvelian tribes, as it is known is travel of Argonauts in Colchis.

One of the main basics of economic strength of ancient Colchis differently from other spheres, probably was iron metallurgy, the main reason of the travel of Argonauts in Georgia could be to learn the secret of iron production. By that time, secret of receiving iron from ore had already been found.

Caucasus becomes as significant metallurgic center of Eurasia in the Bronze Age since the III millennium BC.

In Late Bronze Age, in Caucasus, in particular, in Colchis in the second part of II millennium BC happened significant economic and social-political changes. The greatest achievement of the development of metallurgy was finding and mastering of iron by metallurgists, which resulted innovational change in the history of development of mankind.

According to Pre-Antic and antic Age written data, in accordance to various historical written data, it is well seen, that Asia Minor, Caucasus, particularly Colchis is one of the first places on the earth, where production of iron was originated and developed.

One of the first specific sources about Chalybean metallurgists, about location of their residence and activity, as eyewitness is given by Philosopher and Historian Xenophon in his “Anabasis” (Xenoph., Anabas., V, 5, 1), who at the end of the V century BC visited Chalyb country (south part of Colchis). He describes, that they – Chalybeans get iron from sand... They par excellence survive through exploration and production of iron.

Among scientists of leading Universities of the world, such as Professor of Vein University M. Zipper, famous scientist Eichison

and others came to the conclusion, that “the art of producing iron was initially originated and developed by Chalybeans”.

English scientists, great specialist of developing metals, regarded that “event – which is significant for mankind – finding steel, had its roots in Ponto”, which the Greeks called the Black Sea.

Before the 50s of the XX century, only foreign written sources narrated, that ancient Colchis people were the ones who first discovered and produced iron, which were not enough supporting evidence. The raised question was to be responded...

Beginning since 1950s, on the territory of ancient Colchis, as a result of conducted archeological researches was found iron foundry furnaces and other samples of iron production, which confirmed through documented precise, the dominated opinion spread through foreign written sources, that Georgia is homeland of iron production. More than this, it was approved, that in the process of iron producing were dominated not one of the concrete tribes, but Colchis tribes in general, inhabitants, along the Black Sea coast, as well as inhabitants of highlands Colchis: on the territory of Kobuleti, particularly in river Choloki basin, discovering of Iron Workshop, which in this direction is the first historical monument from Colchis territory and is dated by XIII-XII centuries BC, has confirmed the opinion, that the ancient Kartvelian tribes have made their contribution in creation of iron metallurgy since the second part of the II millennium and in its development during centuries.

* * *

From surrounding of Batumi to the borders of Greater Caucasus have found unique centers of iron producing, which covered about 400 archeological entities.

These hearths were represented in the piedmont line of Choloki-Ochkhamuri, Supsa-Gubazeuli and village Ockhomuri, and finally, in 2000 manufacture hearth of Iron Workshop of Chakvi Gorge was added to this list.

Iron Workshop center of ancient Colchis is located at the surrounded territory of the village Chalaubani, at the distance of 4km. from seaside, on the left side of the river Zgvitsklipiri on the elevated hill.

“Iron Workshop with the name “Chaisubani I” is represented by two furnaces, which probably where located in parallel to each other at the distance of 50cm. The furnaces by their construction have the form of inverted pyramid.

For the current time, three rows of stone groups are kept, the walls are built by broken stones. Lower row of the stone and the root of the furnace is plastered by clay. Nearby the furnaces were situated in mosaic paved Glare with flat stones and medium thickness ceramics. Molten ashes, left as a result of iron production are kept on this territory, as for various ceramic production and stone inventories, found as a result of excavations are kept in the reserves of Batumi Archeological Museum.

Iron Workshop furnace-workshop, probably worked on the basis of magnetite sand of coastline.

Chaisubani I is dated by X-VIII centuries B.C. – denotes well-known Archeologist, director of Batumi Archeological Museum, Professor Amiran Kakhidze about Iron Workshop Centre of ancient Colchis of Chakvi.

In order to determine age of Iron Workshop furnaces, tests of coal specimen were additionally conducted in Germany, in the laboratories of Jena and Bochum Universities. According to the opinion

of German experts, Chakvi Iron Workshop is more ancient and it is dated by XI century BC.

Iron Workshop of Chakvi, Chaisubani ancient Colchis was archeologically discovered and studied in 2000.

During the decades, as a result of hard work of archeologists, discovering Iron Workshop of ancient Colchis was a great success of mutual work of Georgian and foreign scientists to study Georgian and universal cultural achievement.

Although, ancient Colchis Iron Workshops dated by XIII-XII; XI-VIII centuries BC, through which any nation would be proud, since their archeological study appeared to be abandoned. It would be great, if their conservation would take place, historical-cultural value of the facility would be determined, it would be great, if even one facility would be entitled status of cultural monument. Unfortunately, since 1990s, these monuments either were lost, or devastated.

It became possible to carry through one of the significant monuments, such as ancient Colchis Chakvi, Chaisubani Iron Workshop in 2017 from the side of charity fund (Chairman of the Fund, author of the idea preserve the monument and build museum here – Niaz Bolkvadze)...

When ancient historical written sources of various countries and the thinker enlighteners of the world (Hecataeus of Miletus, Euripides, Xenophon, Aristotle, Strabo and others), modern foreign and Georgian archeologists (Forbes, Eichison, M. Zipper, N. Berdzenishvili, I. Grdzelishvili, N. Khoshtaria, D. Khakhutaishvili, I. Gagoshidze, A. kakhidze and others) agree, that Georgians, ancient Colchis tribes, were one of the first discoverers and producers of iron, Georgia is the homeland of iron, which are approved by archeological discoveries through material evidences, these monuments are in front of

us, and this time, not to do anything, not to demonstrate it, but on the contrary, to demolish it by negligence and inadvertence, would be great maleficence and offence before Georgian nation and international society. Preserved ancient Colchis Iron Workshops by their significance among Georgian material-cultural inheritance should be evaluated as one of the most significant historical monuments.

Origination and further development of Uplistsikhe, rock-hewn town, uppermost was depended on producing iron-steel instruments by Georgian metallurgists. These monuments, in this case furnaces of Iron Workshop of ancient Colchis of Chakvi, the age of which is 3100 years, is universal cultural inheritance.

Authenticity of this opinion is verified by the welcome fact, that recently (on 13.11.2019) National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia has entitled status of cultural heritage monument to historical Iron Workshop of Chakvi.

Now, it's UNESCO's turn!

In Chakvi, on the territory of ancient Colchis Iron Workshop, establishment of museum shall gain very interesting character, it shall be illustration of one of the first hearths of iron production, it shall also support development of international tourism.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოყენებული ლიტერატურა

1. ც. არდაშელია. და მოლანდება ასი ათასი. ბათ., 1981.
2. ბიბლია.
3. ნ. ბოლქვაძე. ჩაქვი – ჩაქურას მშობელი. ბათ., 2011.
4. გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბ., 2001.
5. ნ. სურმანიძე. „ჩაქვის წყლის ხეობა“, ბათ., 2009.
6. საქართველო, უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა) ბათ., 2019.
7. თ. სახოკია. მოგზაურობანი. ბათ., 1985.
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, თბ., 1983 წ.
9. ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1973.
10. ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, თბ., №9, 2002.
11. ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი, თბ., №2, 1998.
12. დ. ხახუტაიშვილი. სამტომეული, II, ბათ., 2009.
13. დ. ხახუტაიშვილი. უფლის ციხე-ქალაქი კლდეში. თბ., 1989.

14. ჰომეროსი. ილიადა. „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1979.
15. Волошинов А. В. Пифагор. М. „Просвешение“, 1993.
16. Гагуа И. Овидий Назон и древняя Колхида, Тб., 1984.
17. История Древного востока, М., 2001.
18. Кекелия М. О природе национальных обычаев и традиций. Тб., 1982.
19. Ламберти А. Описание Самегрело. Тб., 1938.
20. Меликишвили Г. А. К истории древней Грузии, Тб.,1959.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორის შესახებ

ნიაზ მემედის ძე ბოლქვაძე – დაიბადა 1962 წლის 28 აპრილს, ქობულეთის რ-ნ სოფ. ჩაისუბანში.

ჩაქვის №3 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1978-1982 წლებში სწავლობდა ქ. ქუთაისის ავტომექანიკურ ტექნიკუმში.

1982-1988 წლებში იყო მწვრთნელ-ინსტრუქტორი (კარატეს განხრით).

1999 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტიკური აკადემიის ბათუმის ფილიალი-პოლიტოლოგიის სპეციალობით.

2004 წელს დაამთავრა ბაშკირეთის რესპუბლიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა-ფილოსოფიის განხრით.

მის სახელს უკავშირდება არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა:

1999-2005 წლებში ბაშკირეთის რესპუბლიკაში მოღვაწეობის დროს მისი იდეითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ბაშკირეთის ქართველთა სათვისტომოს ცენტრი, რომლის პრეზიდენტად თავად იყო არჩეული (ამჟამად საპატიო პრეზიდენტი);

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2000 წელს ქ. უფაში დაარსა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ეროვნული კულტურის ცენტრი;

2002 წელს – კულტურის ცენტრთან არსებული ბაშკირეთის ქართველთა ახალგაზრდული კავშირი;

2003 წელს – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა;

2003 წელს – ქართული ლიტერატურის განყოფილება;

2004 წელს ქ. უფაში, მისი ინიციატივით ჩატარდა ქართული კულტურის დღეები, რაც შემდგომ ტრადიციად იქცა;

2004 წელს ბაშკირეთის ეპარქიის არქიეპისკოპოსმა ნიკონმა დააკმაყოფილა ნიაზ ბოლქვაძის თხოვნა და ბაშკირეთში მცხოვრებმა ქართველმა თანამემამულეებმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ რუსულ მართმადიდებლურ ეკლესიებში მიიღეს ქართულად წირვა-ლოცვის უფლება;

ნიაზ ბოლქვაძის მზრუნველობით ქ. უფის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა დღესაც ატარებს შოთა რუსთაველის სახელს. ქალაქის ერთ-ერთ კულტურის ცენტრში, მისივე ინიციატივით დაიდგა შოთა რუსთაველის ბიუსტი.

ბაშკირეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ერებსა და რელიგიებს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში გაწეული ღვაწლისათვის ნიაზ ბოლქვაძე 2002 წელს ბაშკირეთის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქეთა გვერდით დასახელდა წლის ადამიანად – „Человек года“.

2005 წელს ასპირანტურაში სწავლების დასრულების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში.

2006 წლიდან არის „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე; 2008 წელს –

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულიშვილთა კავშირთან არსებული საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისათვის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

2007 წელს ართვინში (თურქეთი), საფუძველი ჩაუყარა აჭარის მამულიშვილთა კავშირის ფილიალს, 300-მდე იქაურ მკვიდრ „ჩვენებურთა“ ოჯახს საჩუქრად გადაეცა ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“.

ნიაზ ბოლქვაძის სახელთანაა დაკავშირებული 2009 წელს ილია ჭავჭავაძის ძეგლის დასაცავად ქალაქ ბათუმში გამართული ხმაურიანი აქციები... ნიაზ ბოლქვაძის ინიციატივით „მამულიშვილთა კავშირის“ წევრთა და მის მხარდამჭერთა მზრუნველობით აკაკი წერეთლისა და შოთა რუსთაველის ბიუსტებს, მემედ აბაშიძის ძეგლს ღირსეული ადგილი მიეჩინათ ქ. ბათუმში.

ნიაზ ბოლქვაძის იდეითა და თაოსნობით აჭარის მამულიშვილთა კავშირმა ყველაზე მძიმე დროს (2011-2012 წწ.), როდესაც ქვეყანა პროვოკაციების შედეგად რელიგიურ ნიადაგზე აშკარა დაპირისპირების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მან სხვებთან ერთად მოახერხა ქართველ ქრისტიან და მუსლიმან ძმებს შორის ერთობა, ქ. ბათუმში დამპყრობელ სულთან აზიზიეს სახელობის საკულტო ნაგებობის მშენებლობის შესაჩერებლად...

მისი იდეითა და ხელმძღვანელობით, აჭარის მამულიშვილთა კავშირის ეგიდით, შეიქმნა „ოსმალთა ბატონობისაგან“ აჭარის განთავისუფლების და დედა-საქართველოსთან დაბრუნების“ აღსანიშნავი მემორიალი (მოქანდაკე – დავით ბოლქვაძე), რომელიც უნდა აღიმართოს ქ. ბათუმში; 2013

წლიდან 25 აგვისტო ქ. ბათუმში, ყოველწლიურად, ტრადიციულად, სახალხო ზეიმით აღინიშნება, როგორც „ოსმალეთისაგან აჭარის განთავისუფლების“ დღე.

ნიაზ ბოლქვაძის ინიციატივით, ახალციხელ მამულიშვილთა ორგანიზებით 2016 წელს, ქ. ახალციხეში დაფუძნდა მესხეთის მამულიშვილთა კავშირი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მამულიშვილი ზაზა სუდაძე.

ნ. ბოლქვაძის იდეით და ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა ქართული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ისტორიული ძეგლის (ძვ.წ. XI-X საუკ.) უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოს გადარჩენა საბოლოო განადგურებისაგან, რომელსაც უკვე მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი და იქ მუზეუმის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი...

2006 წლიდან დღემდე „აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირმა“ ნიაზ ბოლქვაძის ხელმძღვანელობით ჩაატარა 200-ზე მეტი პრესკომფერენცია, 30-ზე მეტი სახალხო (საზეიმო და საპროტესტო) აქცია, გამოსცა 7 „მიმართვა თანამემამულეებს“ ქართული, ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ეწევა ქველმოქმედებას. 2019 წელს ქ. ბათუმში მისი იდეით დაფუძნდა საქველმქომედო ფონდი „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“, რომლის თავმჯდომარედაცაა არჩეული.

2005 წლიდან არის ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრი, 2008 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, 9 წიგნის ავტორი. გამოსაცემად მზად აქვს კიდევ სამი წიგნი: „სიბრძნის უკვდავება“; „მსოფლიოს ხალხთა სტუმარ-

თპასპინლობა, როგორც სოციო-კულტურული მოვლენა“; „იფიქრე, გადარჩი და გადაარჩინე“.

გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 500-ზე მეტი პუბლიცისტური სტატია ქართულ და უცხოურ გამოცემებში.

ნიაზ ბოლქვაძის წიგნი „აზროვნების ეკოლოგია – კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“ 2019 წელს საქართველოდან წარდგენილია ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში. წიგნი ითარგმნა ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე.

ცხოვრობს ქ ბათუმში, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ, სამწერლო და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი: შორენა და მამია (ლუკა) და ორი შვილიშვილი.

ნიაზ ბოლქვაძე პროგრესულად მოაზროვნე და მიზანმიმართული პიროვნებაა, საქმის პრაქტიკულად შემსრულებელი. როცა ნიაზ ბოლქვაძეზე ვსაუბრობთ, მახსენდება დიდი მხატვრის ამადეო მოდელიანის გამონათქვამი: „ღვთის მიბაძვით უნდა ქმნიდე, უნდა ფლობდე როგორც მეფე, უნდა შრომობდე როგორც ტყვე, რომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიო“. ამ აზრის ჭეშმარიტებაზე მის მიერ განხორციელებული ის კეთილშობილური საქმეებიც მოწმობენ. იგი ჭეშმარიტადაა მწერალი, ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე.

წარმატებას ვუსურვებთ ბატონ ნიაზ ბოლქვაძეს ყველა პროგრესული იდეების გადაწყვეტაში.

ჯემალ მიქელაძე,
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
მხატვარ-არქიტექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

რედაქტორისაგან 3

შესავალი 6

ჩაქვის ისტორიული წარსულიდან 13

ჩაქვი – კოლხური მეტალურგიის სათავეებთან 20

რეზიუმე ინგლისურ ენაზე (Summary) 53

გამოყენებული ლიტერატურა 60

ავტორის შესახებ 62

ტექნიკური რედაქტორი
და დამკაბადონებელი
მალხაზ ფაღავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თინათინ მსხალაძე

მალხაზ ფაღავას პირადი ციფრული ბიბლიოთეკა

2019

malkhaz.pagava@mail.ru